P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ქუთაისის მერიაში მუშაობის მსურველთა ერთ ვაკანტურ ადგილზე, საშუალოდ, 5 კანდიდატია დაფიქსირებული

ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე 812 კონკურსანტს საბუთები დაუწუნეს

იხილეთ მე-3 გვერდზე

№33 (721) 17-23 ნოემბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

„ფსიხო“ — ჯანმრთელობის ცნობა, თუ კორუფციის წყარო?

„ჯანმრთელობის ცნობის მისაღებად საჭირო პროცედურებიდან ერთის დარღვევაც კი დანაშაულია“

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

2014 წლის მარტში შსს მომსახურების სააგენტოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მართვის მოწმობის მისაღებად ჯანმრთელობის ცნობა, იგივე „ფსიხო“ გახდა აუცილებელი. კანონში ცვლილების განხორციელებამდე მართვის მოწმობის მსურველი ვალდებული იყო მხოლოდ „ფსიხოს“ ალტერნატიული ვარიანტი, ე.წ. „დალტოტესტი“, ჩაებარებინა.

ცვლილებამ სამედიცინო დაწესებულებებში ჯანმრთელობის მსურველთა რიგები დააყენა. ცნობის ღირებულება პოლიკლინიკებში 15-დან 30 ლარამდე მერყეობს. აღნიშნულ თანხაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ღირებულების 20 თეთრიც არ შედის.

კანონში შესულმა ცვლილებამ მოქალაქეთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ისინი აღნიშნავენ, მართვის მოწმობის მისაღებად ისედაც სოლიდური თანხის გადახდა უწევთ და დამატებით „ფსიხო“-სთვის გაღებული 20-30 ლარი მათ ბიუჯეტზე მძიმედ აისახება. მათი თქმით, მათ „დალტოტესტის“ ჩაბარების საშუალებაც უნდა ჰქონდეთ.

„25 ლარი გადამახდევინეს მხოლოდ ერთ ფურცელში, იმედი მქონდა, მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდაზე გასვლამდე, სხვა თუ არაფერი, წნევას მაინც გამიზომავდნენ. ვერ ვხვდები, რატომ ითხოვენ „ფსიხოს“, თუ ექიმი არ გვამოწმებს. როგორ ხართ? – ამის კითხვა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად, არამგონია, საკმარისი იყოს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტი:

„ვერ მოხერხდება ორი ბატონის მსახურება...“

იხილეთ მე-2 გვერდზე

მოვაჭრეები ქუთაისის მერიასთან აქციის გამართვას გეგმავენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

ბლოგი

კაპიტანი ღარიბაშვილი

იხილეთ მე-4 გვერდზე

გასულ წელს ყველაზე მეტი პრემია იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაციამ გამოიწერა

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქუთაისის მერიამ პარკირების ადგილებზე ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ª;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ª, ჭავჭავაძის უნივერმაღი
წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge -ს ჟურნალისტმა ომბუდსმენის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა

„ადამიანი ვარ ადამიანი, რომელსაც სჭირდება თანადგომა“ - ნესტან ჩაგელიშვილის სტატია, რომელიც საუკეთესოდ აღიარეს

იხილეთ მე-7 გვერდზე

„საქართველოში C ჰეპატიტის პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება“

იხილეთ მე-6 გვერდზე

ჰოროსკოპი — გვ. 7 | სკანვორდი — გვ.7 | კროსვორდი — გვ. 7

PSnews.ge

ISSN 1987-7056

2015 წლის სექტემბრიდან პენსია მროლოდ 10 ლარით გაიზრდება

2015 წელს პენსიის სოციალური კატეგორიის მიხედვით ზრდა აღარ მოხდება და პირველი სექტემბრიდან პენსია ყველას გაეზრდება. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მან პარლამენტის დეპუტატებს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარამეტრები გააცნო. ხადურის განცხადებით, ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდა გადასახადების ხარჯზე მოხდა, მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე კი ეკონომიკური ზრდა აისახა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების თქმით, პენსიის ყველა კატეგორიის პენსიონერისთვის გაზრდის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის.

მოვაჭრეები ქუთაისის მერიასთან აქციის გამართვას გეგმავენ

ქუთაისში „კეჩის" ბაზრობის მოვაჭრეებმა გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, გარევაჭრობის გამო ბაზარზე მყიდველი აღარ დადის და მათ გადასახადების გადახდაც აღარ შეუძლიათ.

ბაზრის თანამშრომლებმა ჭავჭავაძის გამზირის გადაკეტვა სცადეს, რაშიც ხელი სამართალდამცავებმა შეუშალეს.

აქციის მონაწილეებმა მომხდარში ადგილობრივი ხელისუფლება დაადანაშაულეს და აღნიშნეს, თუ უახლოეს დღეებში გარევაჭრობა არ აიკრძალება, ორშაბათიდან საპროტესტო აქციას მერიასთან გამართავენ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

P — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

საქართველოს პრეზიდენტი: „ვერ მოხერხდება ორი ბატონის მსახურება..."

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პარლამენტს სიტყვით მიმართა. პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოსადმი მიმართვა ირაკლი ალასანიას განცხადებების და თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მოისურვა. თუმცა, პარლამენტმა მას ამ მოვლენებიდან ერთ კვირაში მოუსმინა. შესაბამისად, პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი აქცენტი არ იყო მხოლოდ ქვეყნის ევროპული ორიენტაცია და ამ ორიენტაციის საფრთხეები.

გიორგი მარგველაშვილი

როგორც სახელმწიფოს მეთაურის პარლამენტში მისვლამდე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის პარლამენტში მისვლის მიზეზი „თავისუფალი დემოკრატების" განცხადება იყო, რომლის თანახმად საქართველომ ევროატლანტიკური კურსი შეცვალა და ამიტომ მიმართვას საფუძველი აღარ ჰქონდა.

„მისი განცხადება განპირობებული იყო იმით, რა განცხადებაც გააკეთეს „თავისუფალმა დემოკრატებმა", შესაბამისად, თუ პრეზიდენტი აღარ მიიჩნევს, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ კურსს გადაუხვია, ამ შემთხვევაში მის მიმართვას საფუძველი აღარც აქვს. თებერვალში მას ისედაც უწევს ანგარიშის წარმოდგენა და შესაბამისად, შეუძლია თებერვალში წარმოადგინოს ანგარიში. ეს ჩემი სუბიექტური აზრია," — განაცხადა **ქუცნაშვილმა**.

თუმცა, გიორგი მარგველაშვილი მაინც მივიდა პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანოს სიტყვით მიმართა და ისაუბრა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკასა და ევროინტეგრაციაზე. მან თავის მიმართვაში სხვადასხვა უწყებაში განხორციელებულ და განსახორციელებელ რეფორმებზე გაამახვილა ყურადღება.

„მე არ მოვსულვარ პარლამენტში ერთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან სასაუბროდ, არამედ მთლიანად საქართველოს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოსთან მინდა საკითხები განვიხილო. მე მოვედი საქართველოს მთელი მოსახლეობის მანდატით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სახელით, რომ ქართველი ხალხის წარმომადგენლებს გაგიზიაროთ ჩემი ხედვა ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე," — განაცხადა **გიორგი მარგველაშვილმა**.

მიმართვის მთავარი აქცენტები და ორი ბატონის მსახურება...

პრეზიდენტის თქმით, წინა ხელისუფლების დროს საპოლიციო და უშიშროების სამსახურების შერწყმით და შინაგან საქმეთა სამინისტროში უშიშროების სტრუქტურების ინკორპორირებით, უპრეცედენტო ძალაუფლების მქონე სტრუქტურა შეიქმნა, რომელიც, ფაქტობრივად, დემოკრატიულ კონტროლს არ ექვემდებარებოდა და ადამიანის უფლებების მასშტაბური დარღვევის მანქანად გადაიქცა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახურების გამოყოფა, ქმედითი კონტროლის განხორციელება მათ საქმიანობაზე გადაუდებელი აუცილებლობაა და ამ თვალსაზრისით პარლამენტის როლი განსაკუთრებულია. აღსანიშნავია, რომ, ეს ყველაფერი არის მმართველი კოალიციის პროგრამაში და საარჩევნო დაპირება შესასრულებელი," — განაცხადა პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, იმისთვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას კითხვები პროკურატურის პოლიტიზაციასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს მისი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

„ამისათვის აუცილებელია გაბედული ნაბიჯების გადადგმა და მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. განსაკუთრებით აღვნიშნავდი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. ბოლო დროს ჩვენ ერთად გადავდგით ნაბიჯები ამ მიმართულებით. იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმებით და ასევე, თუნდაც უზენაეს სასამართლოში მიუკერძოებელი და კვალიციური მოსამართლეების განმწესებით, რისთვისაც მინდა მადლობა მოგახსენოთ," — განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ასოცირების ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული საჯარო სამსახური რეფორმის საკითხი.

„ერთი რამ ნათელია — ვერ მოხერხდება ორი ბატონის მსახურება. ვერ მოვახერხებთ ერთდროულად ევროპული მიზნების დეკლარაციას და ამავე დროს, სახელმწიფოს შენებას რაიმე სხვა ყაიდაზე. ამას თუნდაც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია გვასწავლის" — განაცხადა მარგველაშვილმა. ბუნებრივია, ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რა იგულისხმა გიორგი მარგველაშვილმა „ორი ბატონის მსახურებაში".

„საუბარი მქონდა ორ პრინციპზე: თუ შენ ამბობ, რომ ევროპისკენ მიდიხარ — ეს იყო ციტატა ბიბლიიდან. შესაბამისად, იქედანაა წამოსული. ქვეტექსტები არ ყოფილა" — განმარტა მარგველაშვილმა.

კითხვაზე, იგულისხმა თუ არა მასში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ივანიშვილი არ უგულისხმია.

„არა. ბიბლია როცა იწერებოდა, მაშინ სხვა პოლიტიკური ვითარება იყო. ეს არის ციტატა ბიბლიიდან, რომ არ შეიძლება შენ ერთდროულად მიდიოდე რაღაცა გზაზე და სხვანაირად ახორციელებდე. აქ მე სააკაშვილის მაგალითი მოვიტანე, რომელიც ძალიან ხმამაღლა აცხადებდა, რომ საქართველო მიდის ევროპულ და ევროატლანტიკურ გზაზე, მაგრამ ქვეყანას აშენებდა არაევროპული სტანდარტებით" — განაცხადა მარგველაშვილმა.

„საგარეო პოლიტიური კურსი უცვლელია..."

დავით უსუფაშვილის განაცხადებით, როგორც თავიდან იყო ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის გამოსვლა საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს შეეხებოდა, ასე არ აღმოჩნდა და მან მოსაზრებების ფართო სპექტრი განიხილა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, როგორც პრეზიდენტი, ასევე ყველა ერთიანია იმაში, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია.

„საქართველოს პრეზიდენტი ქართველი ხალხის არჩეულია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმეს რამე არ მოსწონს, არ ეთანხმება, ბოლომდე არ იზიარებს, არის მნიშვნელოვანი და ჩვენ ყველა ვალდებული ვართ, ყურადღებით მოვისმინოთ ეს ყველაფერი. დღეს პრეზიდენტმა წარმოადგინა ფართო სპექტრი მოსაზრებების და ეს ცხადია, არ იყო საგარეო პოლიტიკური მიმართულების თაობაზე მიმართვა, რაც თავდაპირველად გაჟღერდა, რომ თითქოს ამ თემებს ეძღვნებოდა, მაგრამ მან განგვიმარტა, რომ კონკრეტულად ბოლო კვირებში განვითარებულ მოვლენებში ან თავისი გადმოსახედიდან უფრო ფართო პრობლემები დაინახა, რომლებსაც შეხმიანება სჭირდება" — განაცხადა უსუფაშვილმა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, არავის წარმოედგინა ის, რაც მოხდა — საგარეო პოლიტიკური მიმართულების წამყვანი პირების გარეშე დარჩებოდა მთავრობა.

„დიახ, ეს იყო მოულოდნელობა, რომლის თავიდან აცილებისთვის ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ამიტომ, როგორც ჩანს, ბატონი პრეზიდენტის გადმოსახედიდანაც, საგარეო პოლიტიკური კურსის საფრთხის ქვეშ ყოფნა არ არის მთავარი თემა... ამ ნაწილში მე მგონი, ყველა ერთიანი ვართ, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი ისე როგორც განსაზღვრულია, რჩება უცვლელი" — განაცხადა უსუფაშვილმა.

„პრეზიდენტი დღეს არაფრის მოსალოცად არ იყო მოსული..."

პრეზიდენტის აქცენტებს დაეთანხმა, თუმცა მაინც ნაწყენი დარჩა საპარლამენტო ოპოზიცია. როგორც საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, აუცილებელი იყო, რომ გიორგი მარგველაშვილის გამოსვლის ირგვლივ ოპოზიციას პოზიციის დაფიქსირების საშუალება მისცემოდა.

„მან თქვა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტები პიროვნებებს არ უნდა ემსახურებოდეს, ის უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებს. ეს სერიოზული პრობლემაა. მეორე — მან აღნიშნა, რომ პროკურატურის დაქვემდებარების საკითხი გადასაწყვეტია. დღეს პროკურატურა საერთოდ გამოსულია პარლამენტის — ხალხის მიერ არჩეული ორგანოს კონტროლიდან და ამიტომაცაა გადაქცეული არაფორმალური მმართველის — ოლიგარქის სადამსჯელო პოლიტიკური შურისძიების ორგანოდ" — განაცხადა ბარამიძემ.

გიორგი ბარამიძის თქმით, პარლამენტი არის ადგილი, სადაც წყდება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ყველა მიმართულებით პოლიტიკას ქვეყანაში.

„პრეზიდენტი დღეს არაფრის მოსალოცად არ იყო მოსული, რაზეც რატომღაც პარლამენტის თავმჯდომარემ ილაპარაკა. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ჭურში არ ვსხედვართ, რომ ის მოვიდა იმის გამო, რომ ქვეყანაში რთული ვითარებაა შექმნილი. მან ეს თავის გამოსვლაში აღნიშნა და ნათელი იყო, რომ პრობლემებზე ისაუბრებდა და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ პრეზიდენტის გამოსვლის ირგვლივ აუცილებელი საზოგადოებამ გაიგოს, ამა თუ იმ საკითხზე ვის რა პოზიცია აქვს. ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი გამოსვლა არ რჩება იმ საშუალების გარეშე, რომ მთავრობის ოპონენტებმა გამოხატონ თავისი პოზიცია. ეს ჩვეულებრივი დემოკრატიული პროცედურაა. რამდენიმე დღის განმავლობაში დაჟინებით მოვითხოვდით, რომ ოპოზიციას მისცემოდა საშუალება, თავისი აზრი გამოეხატა. ეს არის ანბანი" — განაცხადა **ბარამიძემ**. მისივე თქმით, პრეზიდენტმა საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

პრეზიდენტის მიმართვით და აქცენტებით კმაყოფილი დარჩა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების" წევრი ზურაბ აბაშიძეც. მისი განაცხადებით, პრეზიდენტმა ძალიან სწორი, მკაფიო აქცენტები გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს სახელმწიფო.

„ვფიქრობ, რომ ეს იყო პრეზიდენტის ყველაზე საუკეთესო გამოსვლა, რომელიც მე მომისმენია. სამი წამყვანი მინისტრის გათავისუფლება და გადადგომა — ეს იყო სწორედ საერთო შეშფოთებისა და განწყობების შექმნის საკითხი და ბუნებრივია, რომ ამით განაპირობა პრეზდენტმა თავისი მოსვლა საქართველოს პარლამენტში. მან მიმართა საკანონმდებლო ორგანოს, საზოგადოებას და ძალიან სწორი, მკაფიო აქცენტები გააკეთა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს სახელმწიფო.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, როდესაც თავდაცვის სამინისტროსთან მიმართებაში მოხდა პოლიტიკური დევნის ნიშნების შემოტანა, როდესაც პროკურატურა ამ თვალსაზრისით გამოყენებულია, როგორც ინსტრუმენტი, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყნის განვითარებას საფრთხე შეექმნათ ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის კუთხით — ეს არის ის საკითხები, რაზეც პრეზიდენტმაც ისაუბრა. ჩვენ გვინდა არა მარტო დეკლარირების დონეზე მოხდეს მთავრობის მხრიდან, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, არამედ უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები და ქმედებები, რაში იქნება ეს გამოხატული. ამას ჩვენ სერიოზულად დავაკვირდებით" — განაცხადა **ზურაბ აბაშიძემ.**

ამრიგად, საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტმა თავისი აქცენტები უკვე დასვა. გაითვალისწინებს თუ არა ამ აქცენტებს პოლიტიკაში საქართველოს მთავრობა, ეს კიდევ საკითხავია და ამას მომავალი გვაჩვენებს.

ცოტნე გაბადაძე

„ფსიხო" — ჯანმრთელობის ცნობა, თუ კორუფციის წყარო?

„ჯანმრთელობის ცნობის მისაღებად საჭირო პროცედურებიდან ერთის დარღვევაც კი დანაშაულია"

პირველი გვერდიდან

ტყუილად დამატარებენ ზევით-ქვევით. ეს მხოლოდ კორუფციის მორიგი წყაროა. ხელისუფლებისთვის თუ აუცილებელია ეს ცნობა, მაშინ ექიმს სრულფასოვანი შემოწმება და სამსახურში დროულად მისვლა მოსთხოვონ, რიგები დგას პოლიკლინიკებში და ხალხი ხმას არ იღებს. მიეჩვივნენ ყველაფრის ფულის სანაცვლოდ კეთებას, საჭესთან დაჯდომას აპირებენ და თვალის ექიმმა რომ შეამოწმოს, ისიც არ უნდათ," — განაცხადა მოქალაქე **დავით იობიძემ.**

თუმცა, ჯანმრთელობის ცნობის მომლოდინეთა გრძელ რიგში ისეთებსაც შეხვდებით, რომლებიც „ფსიხოს" მიღების მარტივ პროცესს იმით ამართლებენ, რომ ისედაც კარგად არიან და ხალხის რიგებში გაჩერება და დროის კარგვა სულაც არაა აუცილებელი. ხშირად კი მოქალაქეები ექიმებს ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ ინფორმაციას შეგნებულად უმალავენ.

ჯანმრთელობის ცნობის მსურველთა რაოდენობა რომ გაიზარდა, ადასტურებენ პოლიკლინიკის წარმომადგენლებიც. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, დღეში 80-ზე მეტი პაციენტისთვის გაუწევიათ მომსახურეობა.

თუმცა, დღეში რამდენიმე ათეული პაციენტის მიღებას და მათ ზუსტ დიაგნოსტირებას ეჭვქვეშ აყენებს დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინისა და საოჯახო სამედიცინოს რეგიონალური სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, ოჯახის ექიმი შორენა იობიძე. ოჯახის ექიმის განმარტებით, დღეში რამდენიმე ათეული პაციენტის მიღება შეუძლებელია, რადგან პაციენტის შემოწმება სრულყოფილი ვერ იქნება. როგორც შორენა იობიძე აღნიშნავს, კლინიკაში დღეში 10 პაციენტის მიღებაც კი ბევრია.

როგორც ნაზარიშვილის საოჯახო სამედიცინო ცენტრის ექიმი აღნიშნავს, ჯანმრთელობის მოწმობის მისაღებად საჭირო პროცედურებიდან ერთის უგულებელყოფაც კი დარღვევაა.

„შეუძლებელია, რომელიმე ექიმმა არ გასინჯოს პაციენტი. როგორ შეიძლება ადამიანს მიეცეს მართვის მოწმობა და არ შეუმოწმდეს მხედველობა, ან სმენა. ამ შემთხვევაში ექიმიც მოსალოდნელი უბედური შემთხვევის თანამონაწილეა. პირველ რიგში, ეს ადამიანური თვალსაზრისით არის დანაშაული, რადგან, ისედაც ბევრი უბედური შემთხვევა ხდება და ჯანმრთელობის ცნობის შეუმოწმებლად გაცემა დაუშვებელია," — აღნიშნავს **შორენა იობიძე.**

ჯანმრთელობის ცნობის მიღება დიდ დროს რომ მოითხოვს, საჭირო პროცედურათა რაოდენობაც მოწმობს. ანკეტის შევსების შემდეგ პაციენტი მიდის ოჯახის ექიმთან, რომელიც ამისამართებს თვალის და ყელ-ყურის ექიმებთან, რის შემდეგაც ხდება ნევროპათოლოგთან და ქირურგთან გადამისამართება, კეთდება ანალიზი, ბოლოს კი კვლავ ოჯახის ექიმი ავსებს ფორმა 100-ს, შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოში წარსადგენად.

ჯანმრთელობის ცნობის მისაღებად საჭირო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურის გავლის აუცილებლობას ვერ ხედავს ქალაქის №4 შერეული პოლიკლინიკის განყოფილების გამგე ეთერ გუბელაძე. როგორც გუბელაძე აღნიშნავს, ანკეტის გახსნის შემდეგ მოქალაქე იმ სპეციალისტთან იგზავნება, რომლის ჩარევის აუცილებლობასაც თავად თვლიან საჭიროდ.

ეთერ გუბელაძე, №4 შერეული პოლიკლინიკის განყოფილების გამგე: „ანკეტის გახსნის შემდეგ, აუცილებელია, პაციენტი ოჯახის ექიმმა და ასევე თვალის ექიმმა გასინჯოს. ყელ-ყურის ექიმი აუცილებელი არაა, თუ არ ჩავთვალეთ საჭიროდ. მე ექიმი ვარ და ვერ გამომაპარებს, თუ რამე პრობლემა ექნება. თუ ხელს ვერ იყენებს კარგად, ხომ შევხედავ?! ყოველ შემთხვევაში, ოჯახის ექიმი აუცილებლად მიხვდება, რის შემდეგაც დაიწერება დასკვნა შესაბამისი კატეგორიების მიხედვით. თავიდან, დღეში 80 ცნობას გავცემდით, ზოგჯერ სამუშაო დღე სრულდებოდა, მაგრამ მსურველები კვლავ იყვნენ. ამჯერად დღეში, საშუალოდ, 20-30 მოქალაქეს ვუწევთ მომსახურებას."

გაზეთი „***P.S.***" შეეცადა, დაედგინა ზუსტი მონაცემები 1 მარტიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით არსებული მომსახურების სააგენტოს მართვის მოწმობის მისაღები გამოცდა რამდენმა გაიარა და შესაბამისად, „ფსიხოსთვის" პოლიკლინიკებში თანხა რამდენმა მოქალაქემ დატოვა. რამდენს შეადგენს მოქალაქეების ჯიბეებიდან ხშირ შემთხვევაში, არაფრისთვის გადაყრილი თანხა. ამ ინფორმაციისთვის სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს წერილობით მივმართეთ. თუმცა, რედაქციას პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისის მერიაში მუშაობის მსურველთა ერთ ვაკანტურ ადგილზე, საშუალოდ, 5 კანდიდატია დაფიქსირებული

ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებზე 812 კონკურსანტს საბუთები დაუწუნეს

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ 196 ვაკანსიაზე 1693 კონკურსანტის მიერ შეტანილი 5006 განაცხადი დაფიქსირდა, კონკურსის მეორე ეტაპზე კი მხოლოდ 881 ადამიანი გადავიდა.

ამის შესახებ ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ, დავით დვალმა, 10 ნოემბერს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს. მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს ტესტირება 16 ნოემბერს ჩაუტარდებათ.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, დავით დვალის თქმით, მეორე ეტაპზე უკვე გადასული 881 საჯარო მოხელეობის მსურველიდან 474-ს დოკუმენტაცია არასრულად ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ მათ დამატებით მიეცათ საშუალება, გააგრძელონ კონკურსში მონაწილეობა.

„48 კონკურსანტს განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 6 და მეტ პოზიციაზე, რაც ავტომატურად ნიშნავს კონკურსიდან მოხსნას, დარჩენილი 1645 კონკურსანტიდან საბუთების შერჩევის ეტაპი წარმატებით გაიარა 881-მა კონკურსანტმა, 812 კი — უმაღლესი განათლების დოკუმენტის არწარმოდგენის, არაშესაბამისი სპეციალიზაციის, არასაკმარისი სტაჟისა და სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არწარმოდგენის გამო — ვერ გადავიდა მეორე ეტაპზე," — განაცხადა **დავით დვალმა.**

ქუთაისის მერის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა საპრეტენზიო კომისია, რომელსაც საჩივრები უნდა განეხილა.

„იმ კონკურსანტებისთვის, ვინც ფიქრობს, რომ დოკუმენტაცია სრულად ჰქონდა წარმოდგენილი და მეორე ეტაპზე მაინც ვერ მოხვდა, შეიქმნა საპრეტენზიო კომისია, შესაბამისად, უკმაყოფილო კონკურსანტს შეეძლება, საპრეტენზიო კომისიას მიმართოს, რომელიც მის განაცხადს განიხილავს. არ გამოვრიცხავ, რომ 5 000 განაცხადიდან რამდენიმე შეცდომა გაპარული იყოს. მჯერა, რომ ქუთაისის მერიაში პროფესიონალები დასაქმდებიან, ეს პროცესი კი გამჭვირვალე უნდა იყოს," — აცხადებს ქუთაისის მერი **შოთა მურღულია.**

საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: თავმჯდომარე — ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბექა ყანჩელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე — ნიკოლოზ ლატარია, ვიცე-მერი — ნოდარ მიქიაშვილი და მერის მოადგილე კონსანტინე ქავთარაძე.

საპრეტენზიო განცხადება სულ 110-მა პიროვნებამ დაწერა. როგორც საპრეტენზიო კომისიაში აცხადებენ, თითოეულ აპლიკანტს შესაბამისი პასუხი გაეცა, თუ რატომ ვერ გადალახეს მათ პირველი ეტაპი. კომისიაში შესულ 110 საჩივრიდან მხოლოდ 49 აპლიკანტმა არ მიიჩნია გაცემული პასუხი დამაკმაყოფილებლად და საპრეტენზიო კომისიას კვლავ მიმართა განმეორებით. მათგან კი, განხილვის შემდეგ, მხოლოდ 29 აპლიკანტი დაკმაყოფილდა, რომლებსაც მიეცათ შანსი მეორე ეტაპზე გადასულიყვნენ.

„ჩვენ ყველა მოსაჩივრეს გავეცით პასუხი, თუ რატომ ვერ გადავიდნენ ისინი მეორე ეტაპზე, თუმცა, 49 მონაწილემ არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია ჩვენი პასუხი და ისევ შემოიტანა საჩივარი, რის შემდეგაც, ხელახლა განიხილა კომისიამ მათი საბუთები. საბოლოოდ კი, 29 აპლიკანტი დაკმაყოფილდა, მათ მიეცათ შანსი, გადავიდნენ მეორე ტურში," — განაცხადა სააპელაციო კომისიის თავმჯდომარემ **ბექა ყანჩელმა.**

კონკურსის ვერგადალახვის შემთხვევაში, შესაძლოა, რამდენიმე ადგილი ვაკანტური დარჩეს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ცარიელი დარჩება კონკრეტული ადგილები.

„ჩვენ ვეძებთ პროფესიონალებს და ადგილის შევსების გამო არაკვალიფიციურ პირებს არ დავნიშნავთ თანამდებობებზე. თუ შესაბამის ადგილზე მისაღები კადრი არ გამოჩნდება, დარჩენილ ვაკანსიებზე კონკურსი ხელახლა გამოცხადდება," — ამბობს ქუთაისის მერი **შოთა მურღულია.**

ქანა ჯანელიძე

ქუთაისის ბიუჯეტი, დაახლოებით, მილიონი ლარით გაიზრდება

ქუთაისის მერი არასამთავრობოების წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან ერთად 2015 წლის ბიუჯეტი განიხილა.

მერის თქმით, ყველა სექტორი აქტიურად უნდა ჩაერთოს ბიუჯეტის განხილვის პროცესში.

„მოხდება ბიუჯეტის კიდევ ერთხელ გადამუშავება. წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პრობლემები გროვდებოდა, გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება არის საბიუჯეტო სახსრების გამოყენება, მაგრამ არის თემები, რომლებიც პროცედურასთან არის დაკავშირებული და მინდა, რომ ადრეული პერიოდიდან ჩართული იყოს ყველა სექტორის წარმომადგენელი. რისი გათვალისწინებაც შესაძლებელია, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ. არასამთავრობოებმა გასულ წელს საინტერესო შენიშვნები გამოთქვეს ბიუჯეტთან დაკავშირებით და ვიმედოვნებთ, რომ წელსაც იაქტიურებენ," — განაცხადა მურღულიამ.

მისივე თქმით, ბიუჯეტი, დაახლოებით, მილიონი ლარით გაიზრდება.

„ბიუჯეტის პირველივე ვარიანტში მისი ზრდა არის წარმოდგენილი. იგი, სავარაუდოდ, მილიონი ლარით გაიზრდება. ასევე გაიზრდება სოციალური სფეროს დაფინანსება, ადმინისტრაციული ხარჯი კი მცირდება," — აღნიშნა **შოთა მურღულიამ**.

„ძალიან კარგია, რომ ეს შეხვედრა შედგა. აუცილებელია, მოხდეს პრიორიტეტების სწორად გადანაწილება. მთავარია, პრიორიტეტები მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით გადანაწილდეს," — განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ქუთაისის ოფისის კოორდინატორმა **თეონა ზაქარაშვილმა.**

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

ბლოგი

კაპიტანი ღარიბაშვილი

ერთი კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ ბელორუსიაში წელს უკვე მესამე ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. ალექსანდრ გრუნოვი, პაველ სიალიუნისა და გრიგორი იუზეპჩუკის შემდეგ მესამე იყო, რომლის სასიკვდილო განაჩენიც ბელორუსიის ხელისუფლებამ აღასრულა. სამივე მათგანს ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

ბელორუსიაში სიკვდილით დასჯის ფორმაა დახვრეტა, რომელიც საიდუმლოდ აღსრულდება, ხოლო დახვრეტილთა ოჯახებს ცხედრები არ გადაეცემა. საიდუმლოდ რჩება დასაფლავების ადგილიც. ოფიციალურად, ბელორუსიის მთავრობა სიკვდილით დასჯის შესახებ ინფორმაციას, როგორც წესი, არ ავრცელებს, ინფორმაციის წყარო მხოლოდ ბრალდებულთა ოჯახის წევრები არიან, რომლებსაც სახელმწიფო სიკვდილით დასჯილთა პირად ნივთებს აძლევს. გარდა მკვლელობისა, ბელორუსიაში სასამართლოს სიკვდილით დასჯის შეფარდება შეუძლია განსაკუთრებით მძიმე სხვა თერთმეტი დანაშაულისთვის სამშვიდობო პერიოდში და ორი დანაშაულისთვის საომარ პერიოდში.

გეოგრაფიულად ბელორუსია ევროპაშია, თუმცა მას არათუ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა არ აქვს ახლო მომავალში, ევროპის საბჭოს წევრიც კი არ არის. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ბელორუსია ვერ ელევა სიკვდილით დასჯის პრაქტიკას. 1997 წლიდან ევროპის საბჭოს არცერთ ქვეყანაში სასიკვდილო განაჩენი არ აღსრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად (1950 წელს) ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია სიკვდილით დასჯას დასაშვებად მიიჩნევდა, ევროპა ნელ-ნელა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში სიკვდილით დასჯა გამორიცხავს სამართალს. 1982 წელს ევროპის საბჭომ პირველი იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი მიიღო, რომელმაც სიკვდილით დასჯა აკრძალა სამშვიდობო პერიოდში (კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმი). დამატებითი ოქმის რატიფიცირება საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოდან 46-მა მოახდინა. ერთადერთი გამონაკლისი რუსეთის ფედერაციაა, რომელმაც ოქმს ხელი კი მოაწერა, მაგრამ მისთვის რატიფიკაცია არ გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, რუსეთმა 1996 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საბჭოს წევრი გახდა, მორატორიუმი გამოაცხადა სიკვდილით დასჯაზე. 2003 წელს ევროპის საბჭომ ახალი ინსტრუმენტი მიიღო (კონვენციის მე-13 დამატებითი ოქმი) და სიკვდილით დასჯა აკრძალა ყველა (მათ შორის საომარ) გარემოებაში. დამატებითი ოქმი 44 სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული. სომხეთს ჯერ არ გაუკეთებია რატიფიცირება, აზერბაიჯანსა და რუსეთს კი ჯერ ხელიც არ მოუწერიათ.

შედარებისთვის, საქართველოში 1997 წელს გაუქმდა სიკვდილით დასჯა, 1999 წელს კი ქვეყანა ევროპის საბჭოს წევრი გახდა და შეუერთდა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას. საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს ზემოხსენებული დამატებითი ოქმები. სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ზომის, ქონა-არქონა ისეთივე საკითხია, როგორც, ზოგადად, ადამიანის უფლებათა აღიარება ან არაღიარება. ევროპული მიდგომის თანახმად, სიკვდილით დასჯა არა მხოლოდ არაადამიანური და ღირსების შემლახავი სასჯელია, რომელიც, გამოკვლევების თანახმად, დანაშაულთა რიცხვსაც კი ვერ ამცირებს, არამედ მისი აკრძალვა ისეთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება, თუნდაც უმრავლესობის სახელით. მაგალითად, ბელორუსიის მთავრობა ხშირად იშველიებს 1996 წელს ჩატარებულ რეფერენდუმს, რომლის შედეგების მიხედვითაც ბელორუსთა 80% სიკვდილით დასჯის აკრძალვის წინააღმდეგი იყო.

საქართველოში დიდი ხანია, აღარავინ კამათობს სიკვდილით დასჯის არალეგიტიმურობაზე და, ვფიქრობ, ეს უკვე არის ერთ-ერთი ევროპული ღირებულება, რომლითაც უნდა ვამაყობდეთ. ჩვენგან ძალიან ახლოს, ახლო აღმოსავლეთში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იყენებენ სიკვდილით დასჯის ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა. ჩვენგან ძალიან შორს კი, ჩვენს პარტნიორ ქვეყანაში, აშშ-ში, შედარებით თანამედროვე მეთოდს, სასიკვდილო ინექციას. ბელორუსიის მაგალითი კი, დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს მოაგონებდა საქართველოს არცთუ შორეულ, საბჭოთა წარსულს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენი ბედის უკუღმართობა იმაში მდგომარეობს, რომ ბელორუსია პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, გაცილებით მცირე დროში მოახერხებს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გეოგრაფიულად უკამათოდ ეკუთვნის ევროპას. და ბელორუსიას ეს ისეთი ძვირი არ დაუჯდება, როგორც ჩვენ. ამიტომაც, ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას, რაიმე ტრაგიკული შეცდომა დავუშვათ. ისეთ გეოგრაფიულ ხაფანგში, როგორშიც ჩვენ ვართ გამომწყვდეული, ასჯერ უფრო მეტის გაკეთება მოგვიწევს, ვიდრე ბელორუსიას ან, თუნდაც, უკრაინას, რომელსაც მეზობელი რუსეთი ისეთივე პრობლემებს უქმნის, როგორსაც ჩვენ.

გასული კვირის პოლიტიკური კრიზისის წყალობით, საქართველოში უკვე იმაზე ვკამათობთ, ჩვენმა ქვეყანამ ევროპული კურსიდან გადაუხვია თუ არა. საქართველოს ევროპული არჩევანი ისეთი მყიფე აღმოჩნდა, რომ ლამის დავიჯერეთ, რომ ქვეყანამ ერთ ღამეში შეიძლება ასეთი დრამატული ცვლილება განიცადოს. ამის მიზეზი მხოლოდ მინისტრი ალასანია კი არ იყო, რომელმაც ეს აპოკალიფსური ეჭვი გამოთქვა, არამედ პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილიც, რომელმაც არა როგორც ევროპული სახელმწიფოს მეთაურმა, არამედ აღმოსავლური ყაიდის დიქტატორის დარად დაითხოვა თავდაცვის მინისტრი და ჩემთვის გაუგებარი სიმშვიდით შეხვდა სხვა ორი წარმატებული მინისტრის წასვლას.

ამ პოლიტიკური კრიზისის შემდეგ საქართველოს მთავრობა ზიანის მართვისა თუ კონტროლის რეჟიმზეა გადასული. ზიანის კონტროლის ცნება საზღვაო ინდუსტრიიდან მოდის და ისეთი სიტუაციების საგანგებო კონტროლს გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება, გემის ჩაძირვა გამოიწვიონ. ზიანის კონტროლის თანამედროვე გაგება კი გულისხმობს არა იმდენად უშუალოდ პრობლემისა და მის მიერ გამოწვეული ზიანის თავიდან აცილებას ან შემცირებას, არამედ ამ პრობლემით შერყეულ იმიჯზე და რეპუტაციაზე ზრუნვას.

ქვეყნის ლიდერი, გემის კაპიტნის მსგავსად, სახელმწიფოს საკუთარი მაგალითით უნდა მართავდეს. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მარტო არ არის, და რომ მის პირად გადაწყვეტილებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. კაპიტანს, რომელიც მხოლოდ შელახული იმიჯის შელამაზებით არის დაკავებული, ბუნებრივია, კაპიტანი არც ეთქმის. ან, თუ ის მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ გემი ჩაძირვას გადაარჩინოს, ბუნებრივია, ვერაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გემმა წინ იმოძრაოს.

თამარ გურჩიანი
radiotavisupleba.ge

ჭიათურას თანამედროვე ბაგირგზები ექნება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ჭიათურაში თანამედროვე საბაგირო გზების ქსელი გაიმართებოდა და ეს იქნებოდა 21-ე საუკუნის პროექტი ჭიათურისათვის.

„P.S. ფოტო" (როლანდ ხოჯანაშვილი) ©

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საფრანგეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ჭიათურაში საბაგირო გზების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაიწყებს. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა და ფრანგული კომპანიის „Pomagalski"-ის ვიცე-პრეზიდენტმა, კრისტიან ბუვიემ მოაწერეს. ხელმოწერის ცერემონიალს საფრანგეთის ელჩი საქართველოში, რენო სალენსიც დაესწრო.

ახალი საბაგირო გზების მშენებლობას საფრანგეთის მთავრობა 13 მლნ ევროთი დააფინანსებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს ჩაუტარდება, რომლის ჯამური სიგრძე 2.5 კილომეტრს (2480 მეტრს) შეადგენს. რეაბილიტირებული საბაგირო გზები ქალაქის ცენტრს გარეუბნებთან დააკავშირებს. საბაგირო გონდოლური ტიპის იქნება, რომლის სიჩქარე წამში 5.5 მეტრია, კაბინები კი 6 ადამიანზე იქნება გათვლილი.

პირველი მონაკვეთი, რომლის სიგრძე 950 მეტრია, ჭიათურის ცენტრს ნაგუთთან, სიგრძით მეორე 800 მეტრიანი საბაგირო გზა ქალაქის ცენტრს სანატორიუმთან, მესამე, 430 მეტრიანი სიგრძის მონაკვეთი კი — ჭიათურის ცენტრს მუხაძის ქუჩას დააკავშირებს. მეოთხე საბაგიროთი კი ჭიათურის ცენტრი და რუსთაველის ქუჩა დაუკავშირდება ერთმანეთს. ბაგირგზები თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით აღიჭურვება, რომელიც ქსელის უსაფრთხოდ მუშაობას უზრუნველყოფს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჭიათურაში საბაგიროების მოსაწყობად თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნიკის მოწოდებას ფრანგული კომპანია „Pomagalski" უზრუნველყოფს. ის მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა საბაგირო გზებისა და ბაგირიანი ტრანსპორტირების სისტემების პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გაშვების სფეროში. ჭიათურის საბაგირო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც ყოველდღიურად10 ათასზე მეტი პირი სარგებლობს.

„საბაგირო გზები დღემდე იმ მანქანა-დანადგარებით ფუნქციონირებს, რომელიც მისი თავდაპირველი ექსპლოატაციის დროს 1963 წელს დამონტაჟდა. ბაგირგზებზე სარემონტო სამუშაოები 1990-იანი წლებიდან აღარ ჩატარებულა, რაც მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილებას რისკის ქვეშ აყენებს. ჭიათურის საბაგიროს სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია განახორციელებს," — აცხადებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე **სულხან მახათაძე.**

როლანდ ხოჯანაშვილი

გასულ წელს ყველაზე მეტი პრემია იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაციამ გამოიწერა

www.opendata.ge -ზე უკვე ხელმისაწვდომია იმერეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო და შიდა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან IDFI-სთვის მოწოდებული სხვადასხვა სახის საჯარო ინფორმაცია, რომელიც ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა 2013 წელს გუბერნატორების ადმინისტრაციების მიერ გაწეული სხვადასხვა სახის ფინანსური ხარჯები, მათ ბალანსზე რიცხული და ჩანაცვლებული ავტომობილები, გუბერნატორისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ელექტრონული კორესპონდენციის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.
წარმოგიდგენთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მოკლე მიმოხილვას.

„PS.ფოტო" ©

იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ადმინისტრაციაში 2013 წელს პრემიის სახით სულ გაცემულია — 111 009 ლარი, აქედან გუბერნატორსა და მის ოთხ მოადგილეზე — 25 215 ლარი, ადმინისტრაციის თანამშრომლებზე — 85 794 ლარი, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლებს დაერიცხა ჯამში — 5 300 ლარი.

იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილების (სულ 17 ავტომანქანა) საერთო ნარჩენი ღირებულება შეადგენს 252 409 ლარს, აღნიშნული ავტომობილებიდან 2014 წლის აპრილის მონაცემებით სახელმწიფო-რწმუნებულის-გუბერნატორის მფლობელობაში იყო 2011 წელს 67 000 ლარად შეძენილი „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო" ნარჩენი ღირებულებით 36 850 ლარი, ხოლო ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი 2012 წელს 89 688 ლარად შესყიდული „ტოიოტა პრადო" ნარჩენი ღირებულებით 62 781,6 იმყოფება გუბერნატორის პირველი მოადგილის მფლობელობაში. წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 8 206,69 ლარი, საიდანაც ყველაზე დიდი თანხა 3 448,75 ლარი დაიხარჯა სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შესაძენად.

გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2013 წელს გაიცა — 69 370 ლარი პრემია, მათ შორის გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე — 10 200 ლარი, ხოლო თანამშრომლებზე სულ — 59 170 ლარი. 2013 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხება 10 ავტოსატრანსპორტო საშუალება საერთო ნარჩენი ღირებულებით — 194 020 ლარი.

სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2013 წელს პრემიის სახით გაიცა — 103 945 ლარი. აღნიშნული თანხიდან გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე — 14 810 ლარი, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა — 89 135 ლარი. რაც შეეხება გუბერნატორის სამუშაო ელ-ფოსტიდან განხორციელებულ სამსახურებრივ კორესპონდენციას, ადმინისტრაციამ პრეს-რელიზი და სხვა საჯარო ინფორმაცია გამოუგზავნა ინსტიტუტს. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 12 ავტოსატრანსპორტო საშუალება საერთო ნარჩენი ღირებულებით 261 840 ლარი. რიცხული ავტომობილებიდან ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი BMW X5 (თავდაპირველი ღირებულება — 71358 ლარი, ნარჩენი ღირებულება — 55 374 ლარი) 2014 წლის აპრილის მონაცემებით გადაცემული იყო გუბერნატორის მოადგილის მფლობელობაში. როგორც ირკვევა, ადმინისტრაციის მიერ 2011 წელს ადგილი ჰქონდა ავტოტრანსპორტის ჩანაცვლების 2 ფაქტს. 11 000 აშშ დოლარად შეფასებული „ტოიოტა ქამრი" ჩანაცვლდა ახალი, 2011 წელს გამოშვებული 31 900 ლარად შეფასებული იმავე მარკის ავტომანქანით, ხოლო 20 500 აშშ დოლარად შეფასებული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო" ჩანაცვლდა 2011 წელს გამოშვებული, იმავე მარკის 42 100 აშშ დოლარად შეფასებული ავტომანქანით. რაც შეეხება წარმომადგენლობით ხარჯებს, სულ ადმინისტრაციის მიერ გახარჯულია 12 721 ლარი, მათ შორის: 2 107 ლარი — მიღებების, თათბირების, კონფერენციებისთვის მინერალური წყლის, ყავის, ჩაისა და შაქრის მოწოდების, ასევე წყლის აპარატების მომარაგების ხარჯი; 291 ლარი ყვავილების შეძენის ხარჯი 9 აპრილისა და 26 მაისი ღონისძიებებთან დაკავშირებით, 525 სასაჩუქრე ალბომის შეძენის ხარჯი ბალტიისპირელი სტუმრებისათვის.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს გაცემული პრემიის ოდენობა ჯამში შეადგენს 51 448.95 ლარს, მათ შორის გუბერნატორსა და მის სამ მოადგილეზე გაიცა 13 488.75 ლარი, საიდანაც სახელმწიფო რწმუნებულმა მიიღო — 4 056, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებმა — 37 960.2 ლარი.

რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით ირიცხება 8 ავტოსატრანსპორტო საშუალება, საერთო ნარჩენი ღირებულებით 265 696 ლარი. გუბერნატორის მფლობელობაში იმყოფება 61 304 ლარად შეფასებული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო". ამასთან, ადმინისტრაციის მიერ 2010 წელს 104 481 ლარად შესყიდული „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო" (ნარჩენი ღირებულებით 57 673) გადაცემულია გუბერნატორის პირველი მოადგილის განკარგულებაში. 3 ერთეული მიცუბიში L200 (ნარჩენი ღირებულება ჯამში 71 640 ლარი) გადაცემულია საგანგებო სიტუაციები მართვის სამსახურის მფლობელობაში.

2013 წელს, **კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში** გაიცა 38 432 ლარი პრემია, საიდანაც გუბერნატორსა და მის მოადგილეებს გადაეცათ 10 182 ლარი, ხოლო თანამშრომლებს — 28 250 ლარი. 36 445 ლარი შეადგინა ადმინისტრაციის მიერ გაცემულმა სახელფასო დანამატმა, აქედან 28 700 ლარი გაცემული იყო გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე, ხოლო 7 745 ადმინისტრაციის თანამშრომლებზე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი თანხა 26 200 ლარი, სახელფასო დანამატის სახით გაიცა ზურაბ ჭიაბერაშვილის სახელზე.

მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით, გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზეა 12 ავტოსატრანსპორტო საშუალება, საერთო ნარჩენი ღირებულებით 384 368 ლარი. აქედან, გუბერნატორის მფლობელობაში გადაცემულია 2 ავტომობილი Toyota Lendcruiser Prado (ნარჩენი ღირებულება — 78 764 ლარი) და Volksvagen Passat (ნარჩენი ღირებულება — 46 094 ლარი).

ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში 2013 წელს გაცემულია — 95 550 ლარი პრემიის სახით, საიდანაც გუბერნატორსა და მის მოადგილეებს დარიცხათ — 20 700 ლარი, ხოლო თანამშრომლებს — 74 850 ლარი. ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 5 ავტომობილი საერთო ნარჩენი ღირებულებით — 47 850 ლარი. ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებათა შორისაა 2008 წელს — 72 897 ლარად შესყიდული „ტოიოტა ლენდ კრუიზერი" (ნარჩენი ღირებულება — 22 598 ლარი). რაც შეეხება, **შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციას,** აქ პრემიის სახით გაიცა 61 884 ლარი, გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე — 42 180 ლარი, ხოლო ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებზე — 19 704 ლარი. ადმინისტრაციის ბალანსზე 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით ირიცხება 10 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, ნარჩენი ღირებულებით — 218 949.72 ლარი. აქედან ყველაზე ძვირადღირებული ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო" (77 600) მიმაგრებულია გუბერნატორის ადმინისტრაციის შტატგარეშე მოსამსახურეზე (ვლადიმირ ალიბეგაშვილი).

2013 წელს ადმინისტრაციის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა — 46 341.78 ლარი. მათ შორის ყველაზე დიდი თანხა — 45 793 ლარი დაიხარჯა 23 ივნისს გორში ქართლის ღვინის ფესტივალის ორგანიზებისათვის.

IDFI-ის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გუბერნატორის ადმინისტრაციებიდან მოსული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, თუ როგორია 2013 წელს სხვადასხვა რეგიონში გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ არსებული საბიუჯეტო თანხების გადანაწილების პრაქტიკა, მათ შორის პრემიებზე, სახელფასო დანამატებსა და წარმომადგენლობით ხარჯებზე, ასევე წარმოგიდგენთ ადმინისტრაციების ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შედარებას ნარჩენი ღირებულების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ჯამში ყველაზე დიდი რაოდენობით პრემია გაიცა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ (111 099 ლარი), მას მოჰყვება სამეგრელოს გუბერნატორის ადმინისტრაცია (103 945 ლარი) და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია (95 550 ლარი). რაც შეეხება სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკას 2013 წელს, ყველაზე დიდი რაოდენობა — 36 445 ლარი სახელფასო დანამატი გაიცა კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში. მიღებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით რომ შევადაროთ გუბერნატორებზე გაცემული პრემიების ან/და სახელფასო დანამატების გაცემის ოდენობა ერთმანეთს, ამ მხრივ რიგებში პირველია — კახეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორ ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილზე გაცემული სახელფასო დანამატი 26 200 ლარის ოდენობით. მას მოჰყვება, ქვემო ქართლის გუბერნატორსა (მამუკა ჩიქოვანი — 10 500 ლარი) და იმერეთის გუბერნატორზე (ვახტანგ ბალავაძე — 10 000 ლარი) დარიცხული პრემიის ოდენობა ლარებში. წარმომადგენლობით ხარჯებზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯულია შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ — 46 341 ლარი.

idfi.ge

ქუთაისის მერიას საბინაო ფონდის შექმნისკენ მოუწოდებენ

სოციალურად დაუცველებმა და იპოთეკით დაზარალებულებმა პარტია „თავისუფალი საქართველოს" წევრებთან ერთად ქუთაისის მერიის წინ აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მერს ქუთაისში საბინაო ფონდის შექმნისკენ და მოსახლეობაზე ზრუნვისკენ მოუწოდებენ.

„მივმართავთ ქუთაისის მერიას, გაზარდოს საბინაო ფონდი, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს გაჭირვებულ ადამიანებს. მოქალაქეს, რომელსაც სახლი დაეწვება, თუ იპოთეკარი გამოაგდებს ბინიდან, მერიამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათი ფართებით დაკმაყოფილება უნდა მოახერხოს. ბიუჯეტის ათას სისულელეში ხარჯვას, ჯობია, ხალხისთვის სასარგებლო საქმე გააკეთონ. ადგილობრივ ხელისუფლებას მისი მოქალაქეების ბედი უნდა აწუხებდეს," — განაცხადა გოგი წულაიამ.

ბრალდებებთან დაკავშირებით ქუთაისის მერიამ კომენტარი არ გააკეთა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„PS.ფოტო" ©

ქუთაისის მერიამ პარკირების ადგილებზე ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა

ქუთაისის მერიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისათვის ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა ორი თვის წინ გაუვიდა, თუმცა, მიუხედავად ვადის გასვლისა, მძღოლებისგან პარკირების საფასურის აკრება კვლავ ხდება. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მძღოლებისგან აკრებილი თანხა ბიუჯეტში შეაქვთ. აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა ვიცე-მერმა **ნოდარ მიქიაშვილმა**.

პარკირების მოსაკრებლზე გაფორმებული ხელშეკრულებით მიმდინარე წელს ბიუჯეტში 55 ათასი ლარი უნდა შესულიყო. როგორც ვიცე-მერმა აღნიშნა, ქუთაისის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისთვის ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულთან, სავარაუდოდ, 500 000 ლარიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

ქალაქში სულ 274 პარკირების ადგილი იქნება. აქედან 177 – საერთო სარგებლობის, 97 – სპეციალური სარგებლობის.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

იმერეთის გუბერნია IDFI-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის", IDFI-ის მიერ 2013 წელს რეგიონებში გაცემულ პრემიებთან დაკავშირებით გაკეთებულ მოკვლევაზე შემდეგ განმარტებას აკეთებს.

„IDFI-ს კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი და, შესაძლოა, გარკვეული ობიექტური გარემოებების დაუზუსტებლობამ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. უპირველეს ყოვლისა, კვლევაში ასახული მონაცემები 2013 წლის იმ პერიოდს მოიცავს, როდესაც იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის თანამდებობა ვახტანგ ბალავაძეს ეკავა, თუმცა, ზოგიერთ მედიასაშუალებაში არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა. კონკრეტულად: ინფორმაციის კონტენტი და თანდართული ფოტო შეუსაბამო გახლდათ (ვახტანგ ბალავაძის ნაცვლად მითითებული იყო ზაზა მეფარიშვილის აბრა), რაც ვფიქრობთ, რომ ტექნიკური ლაფსუსია.

რაც შეეხება IDFI-ს კვლევას, ეს ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერვე არის გაცემული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ყველა დაინტერესებული პირისთვის, თუ ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია.

კვლევაში არის მცირეოდენი ცდომილებაც ადმინისტრაციის მიერ შეძენილი ავტომანქანების შესახებ, რაც არ შეესაბამება რეალობას. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციას არასოდეს განუხორციელებია მანქანების შესყიდვა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განმარტების შემდეგ საზოგადოება უფრო სწორად გაიგებს მედიასაშუალებებით IDFI-ის 2013 წლის კვლევაში მოცემულ სტატისტიკას.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია მომავალშიც მზად არის ტრანსფარანტულობისთვის." — ნათქვამია გუბერნიის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ჭიათურაში ეროვნული გმირის სახელობის ტყე გაშენდა

13 ნოემბერს „ჯორჯიან ემერიქენ ელოიისის" ყოფილ სამეწარმეო ტერიტორიაზე, ე.წ. „ხრამის ჩამქრალ კარიერზე", მორიგი რეკულტივაცია-გატყიანების აქცია მოეწყო.

„P.S.ფოტო" (როლანდ ხოჯანაშვილი) ©

„ელოისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ახალშენ ტყეს აფხაზეთში ტრაგიკულად გარდაცვლილი ჯონი თორღვაშვილის სახელი შეურჩიეს და შესაბამისი სიმბოლური მემორიალი დაამზადეს, რომელიც 4-ჰექტრიანი ახალშენის შესასვლელში აღმართეს.

აქციაზე მიწვეული იყვნენ ჯონი თორღვაშვილის დედა, ქალბატონი ლალი თორღვაშვილი; საქართველოს პარლამენტის წევრები: ანი მიროტაძე, ბიძინა გუჯაბიძე და გიორგი ცაგარეიშვილი.

ნერგების დარგვაში მონაწილეობა მიიღეს „ელოისის" თანამშრომლებმა, სოფელ გეზრულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ბენეფიციარებმა, ჟურნალისტებმა.

რეკულტივაციის პროცესში მონაწილეობდა „ელოისის" გენერალური დირექტორი ველველ ლოზინსკიც.

ბიძინა გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ ნერგების 60-70%-ის გახარებაც კი მისასალმებელი იქნება და რამდენიმე ათეული მცენარე თავადაც დარგო.

გიორგი ცაგარეიშვილი დაინტერესდა ნერგების ჯიშებით და აღმოჩნდა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი მცენარეთა გარდა ირგვებოდა ე.წ. პავლონია ტომორტოზა, რომელიც, ბოლო წლებში, საქართველოში პოპულარობით სარგებლობს.

ანი მიროტაძემ უკვე მეორეჯერ მიიღო მონაწილეობა რეკულტივაციის პროცესში და აღნიშნა, რომ ყოველთვის ეცდება ასეთ აქციებში მიიღოს მონაწილეობა, რადგან ეკოლოგიური პროექტების განხორციელება არამარტო ამ რეგიონისთვის პრინციპული საჭიროებაა.

ჯონი თორღვაშვილის დედას, ქალბატონ ლ. თორღვაშვილს „ელოისის" გენერალურმა დირექტორმა სიმბოლური სამახსოვრო სიგელი გადასცა. ეროვნული გმირის დედამ ემოციები ვერ დამალა და განაცხადა: „დღეს ჩემი გმირი შვილი გამიცოცხლდა."

საქართველოს ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის დირექტორმა, თამარ ზაბახიძემ, განაცხადა, რომ ასეთ აქციებზე ყოველთვის სიამოვნებით წამოვლენ როგორც ბენეფიციარები, ასევე აღმზრდელებიც და შესაძლებლობის ფარგლებში ეკოლოგიურ პროექტებს ხელს შეუწყობენ.

სოფელ გეზრულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმაც გამოთქვეს სურვილი, რომ ამგვარ აქციებში კვლავ მოწინავეები იქნებიან და შექმნიან ჭიათურის მწვანე მომავალს (ამავე სკოლის თვითმმართველობას ეკუთვნის სლოგანი „ჩვენ შევქმნით შავი ჭიათურის მწვანე მომავალს").

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განაშენიანება მოხდა 4 ჰექტარზე და დაირგო 4 ათას ნერგზე მეტი.

როლანდ ხოჯანაშვილი

„საქართველოში C ჰეპატიტის პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება"

საქართველო გახდება მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ბოლომდე გადაიჭრება C ჰეპატიტის პრობლემა და მთლიანად დაიძლევა ეს უმძიმესი დაავადება, — აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ჯანდაცვის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი.

მთავრობის მეთაურს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული სამუშაო ვიზიტის დეტალები და მოლაპარაკებების შედეგები გააცნო. მისი განმარტებით, მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით მომავალი წლიდან საქართველოში დაიწყება უპრეცედენტო პროგრამა — C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატი „სოფუსბუვირი" შემოვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საქართველოში მცხოვრები პაციენტებისთვის გახდება ხელმისაწვდომი. აშშ-ში ჯანდაცვის მინისტრის სამუშაო ვიზიტის დროს შეთანხმდა ახალი მედიკამენტის უმოკლეს ვადაში რეგისტრაციისა და საქართველოს მოსახლეობის პრეპარატთან წვდომის საკითხები.

„საქართველოში მომავალ წელს დაიწყება უპრეცედენტო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც პრაქტიკულად აღმოიფხვრება C ჰეპატიტის დაავადება. ეს არის დიდი მიღწევა ჩვენი მთავრობის და პირადად ბატონი დავით სერგეენკოსი. მთავარი მოტივაცია, რამაც აღნიშნულ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა ამერიკული მხარე, არის ის რეფორმები, რომელიც ჩვენმა მთავრობამ განახორციელა. ეს არის უნივერსალური დაზღვევის პროგრამა, C ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ათასობით პაციენტს ვუმკურნალეთ, მათ შორის 1000 პატიმარს. ეს არის რეალური რეფორმა, რომელსაც 2 წელიწადში მივაღწიეთ და ამაში მილიონობით ლარია დახარჯული," — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობისა და ჯანდაცვის უწყების სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველო გახდება ქვეყანა, სადაც C ჰეპატიტი, როგორც დაავადება, საერთოდ გაქრება.

presa.ge

სიტყვას ითხოვს მკითხველი

სად გადის ზღვარი უმადურობასა და მადლიერებას შორის

პაატა ელბაქიძემ დაამთავრა ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის უნივერსიტეტი. 1994-1995 წლებში მუშაობდა ქუთაისის მერიის „გამარჯვების" მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1996-2008 წლებში შინაგან საქმეთა ორგანოებში, ოპერატიული სამსახურის შემდეგ თანამდებობებზე — ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, ქვეგანყოფილების უფროსად, რეგიონალური განყოფილების უფროსის მოადგილედ, განყოფილების უფროსად და შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს უფროსად (წყალტუბოში).
2013 წლის აპრილში წავიდა საქართველოდან უკრაინაში, ქალაქ კიევში, სადაც ეწევა კერძო საქმიანობას.

მე, საქართველოს მოქალაქეს, ამჟამად მისგან შორს მყოფს, დიდი ხანია, მაქვს სურვილი, ქართული პრესის საშუალებით გამოვხატო ჩემი აზრი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ყოველთვის ვიკავებდი თავს, ვცდილობდი, ემოციებს არ ავყოლოდი.

ბოლო პერიოდში, საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების შემდეგ დავრწმუნდი, რომ დუმილი არ შეიძლება.

ალბათ, მკითხველი მიხვდება, თუ რაზეც ვაკეთებ მინიშნებას. ჩემი აღშფოთება გამოიწვია საქართველოს მინისტრთა კაბინეტში, ასე ვთქვათ — „ვულკანის ამოფრქვევამ" და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, „ვულკანი" წარმოშვა, პოლიტიკური პარტიის — „თავისუფალი დემოკრატების" მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა და მათი წევრების განცხადებებმა.

თავიდან ვიფიქრე, ეს ყველაფერი ახალგაზრდული ემოციების ბრალია და დაფიქრდებოდნენ ნამოქმედარზე, თუმცაღა უფრო და უფრო აღვივებენ ცეცხლს, აგრძელებენ ქართველი ხალხის ნერვებზე თამაშს. მაშინ, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის ნათქვამის გამო ბოდიშს იხდის, მაშინ, როდესაც თავად პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აღიარებს, რომ ისე არ უნდა ეთქვა.

ბატონი ალექსანდრე პეტრიაშვილი გამოდის სატელევიზიო ეთერში პრეტენზიებით. მე მაქვს მასთან კითხვა, ვის უწოდა მან „უმადურები"? ცხადია, „თავისუფალი დემოკრატების" მიერ გაწეულ მუშაობას, „დაუნახაობის" გამო, უწოდა მან უმადურები პრემიერ-მინისტრს და, ალბათ, თვით ბიძინა ივანიშვილსაც. ეს უკვე მეტისმეტია, ბატონო ალექსანდრე, თქვენ იმდენად პასუხსაგები პოსტი გეჭირათ მინისტრთა კაბინეტში, უნდა ხვდებოდეთ, თქვენგან ნათქვამი ეს სიტყვა რასაც ნიშნავს. მე მაინტერესებს, თქვენი კარგი მუშაობის გამო, პრემიერ-მინისტრმა, ან ვინმე სხვა პიროვნებამ (ვისაც თქვენ გულისხმობდით) რატომ უნდა გამოხატოს მადლიერების გრძნობა? თქვენ ბრძანდებოდით სახელმწიფო მოხელე, დიდი თანამდებობის პირი, ამდენად, თქვენი მუშაობის შედეგად მადლიერება ან უმადურება უნდა გამოხატოს იმ ხალხმა, ვისაც თქვენ ემსახურებოდით, ამ შემთხვევაში კი — ქართველმა ხალხმა. აქედან გამომდინარე, კვლავ გისვამთ კითხვას, თქვენ ის სიტყვები (რაც უმადურობას ეხებოდა) ქართველი ხალხის მისამართით თქვით? თუკი ეს ასეა, მაშინ თქვენ დიდი შეცდომა დაგიშვიათ და არასოდეს გექნეთ ამ ხალხისაგან მხარდაჭერის იმედი, თუკი ეს ასე არ არის და ვინმე პიროვნებების მისამართით თქვით, მაშინ უფრო დიდი შეცდომა დაგიშვიათ. თქვენ დაგიქირავათ ქართველმა ხალხმა და მათ წინაშე იყავით ვალდებული, გეკეთებინათ ის, რაზეც აიღეთ პასუხისმგებლობა.

ასევე პოლიტიკურად მიუღებელი განცხადებები გააკეთეს თვით ბატონმა ირაკლი ალასანიამ და ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ. თუკი, ორი დღით ადრე, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ყველაფერი კარგად იყო და საქართველო ბრწყინავდა, გეკითხებით — იმ დღეს, როცა გაგანთავისუფლეს, რა მოხდა ისეთი, რომ საქართველო უფსკრულში აღმოჩნდა? თქვენ არ გაქვთ უფლება, ქართველი ხალხი დააბნიოთ და შეცდომაში შეიყვანოთ, ამიტომ ველოდებით ყველა თქვენგანის გამოჩენას სატელევიზიო ეთერში და საპირისპირო (ანუ სასიკეთო) განცხადებების გაკეთებას.

ბატონმა ირაკლი ალასანიამ მორიგი უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა. მაშინ, როდესაც „თავისუფალი დემოკრატები" საღამოთი „ქართული ოცნების" ოფისში მივიდნენ, მალევე უკან გამოვიდნენ და ბატონი ირაკლი ალასანია უკმაყოფილებით აცხადებს: მე აქ ბიძინა ივანიშვილთან სალაპარაკოდ არ მოვსულვარო. უბრალოდ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

მე გეკითხებით, ვინ არის თქვენთვის (ასევე მთელი საქართველოსთვის) ბიძინა ივანიშვილი? ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის პიროვნება, რომელმაც გადაარჩინა მთლიანი საქართველო, მათ შორის თქვენც, მის მიმართ ჩვენ ყველანი ვალში ვართ. ეს პიროვნება რომ არ ყოფილიყო, მერწმუნეთ, ნახევარი საქართველო ციხეში იქნებოდა და, შესაძლოა, მათ შორის თქვენც.

თქვენ რა გგონიათ, ბატონი ბიძინა მთლიანად წავიდა და თქვენ საქმეში არ ჩაერეოდა? მე, რომელსაც პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ მქონია, არასოდეს მიფიქრია, რომ ბატონი ბიძინა აღარ დაინტერესდებოდა იმ ხალხის ქმედებებით, რომლებიც მან მოიყვანა მთავრობასა და პარლამენტში. მას იმოდენა პასუხისმგებლობა აკისრია ქართველი ხალხისაგან, რომ თვით ეს ხალხი არ აპატიებს ჩაურევლობას, ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური კრიზისის დროს. არ დაგავიწყდეთ, საპარლამენტო არჩევნებში 2012 წელს, ქართველმა ხალხმა მას მისცა ხმა და არა თქვენ ყველას, აღებულს ერთად. ყოველივე ამის შემდეგ, კვლავ ვეკითხები ბატონ ალექსანდრე პეტრიაშვილს, ვინ უფრო გამოხატა უმადურობის გრძნობა და სად გადის ზღვარი უმადურობასა და მადლიერებას შორის?

არ მინდა, ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს „თავისუფალი დემოკრატების" მტერი ვიყო, სრულიადაც არა, პირიქით, მე ისინი სულ მომწონდნენ, ვგრძნობდი, რომ მათ რაღაც აკლდათ, რაც ხელს უშლიდათ ქართულ პოლიტიკაში თავისი სათქმელი ეთქვათ და „ის რაღაც" მათ შეუვსო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. მიხაროდა და მსიამოვნებდა, როდესაც „ქართული ოცნების" რიგებში ვხედავდი სიმპათიური, კარგი და ჭკვიანი ახალგაზრდების ჯგუფს. მეგონა, დიდხანს განაგრძობდნენ კოალიციაში მოღვაწეობას სხვებთან ერთად და მონაწილეობას მიიღებდნენ ქვეყნის აღმშენებლობის საკითხებში, მაგრამ ისინი თურმე ხელის აქნევას ელოდებოდნენ (იმ ჩიტის არ იყოს, ანდაზაში რომ არის) და თავიანთი ავტორიტეტი გადააყოლეს ამბიციებს. ამით თავის თავიც დააზარალეს და საკუთარი ქვეყანაც.

შეიძლება პოლიტიკაში დიდად განსწავლული არ ვიყო, მაგრამ არასოდეს შემშლია ადამიანური ქმედებები, ყოველთვის ვხედავ და ვამჩნევ სიკეთეს, არასოდეს უმადური არ ვყოფილვარ, არც მეგობრობა შემშლია.

თავისუფალი დემოკრატების" შემთხვევაში კი, მეგობრებმა ბატონ ირაკლი ალასანიას მგლური სამსახური (და არა ძმური) გაუწიეს, როცა ერთი უშვებს შეცდომას, მეგობარი იმის არის, რომ მას სიკეთისაკენ და სისწორისაკენ მიუთითოს.

მე მოგიწოდებთ, თქვენ კიდევ გაქვთ შანსი გამოასწოროთ თქვენი საქციელი, ქართველი ხალხი შემწყნარებელი არის და ყველაფერს დაივიწყებს, თუკი თქვენ ნორმალურად განსაზღვრავთ მომავალ ქმედებებს, თქვენდა საბედნიეროდ, იმდენი შეცდომა არ დაგიშვიათ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაუშვა, თუმცა შანსი მათაც არ დაუკარგავთ ჯერ კიდევ. ამისათვის საკმარისია მხოლოდ ერთი სიტყვა, დავმარცვლავ ბო-დი-ში.

ამ წერილით ვინმეს გულის მოგებას არ ვაპირებ. დაახლოებით, 2 წლის უკან წავედი საქართველოდან, მეც მაწუხებდა უმუშევრობა, მაწუხებს ნოსტალგია, მაწუხებს (ისევე როგორც ყველა ქართველ ემიგრანტს) და მტკივა ჩემი საქართველო, დედა სამშობლო, მაგრამ არავისთვის თხოვნით არ მიმიმართავს, მიშველე-თქო. ამდენად, სრულიად გულწრფელი ვარ ჩემს სიტყვებში, თუკი საჭიროო შეიქნება (და ღმერთმა ნუ ქნას), გავაკრიტიკებ „ქართულ ოცნებასაც", მაშინ, როცა დავინახავ მათგან არასწორ ქმედებებს.

ახლა ორიოდე სიტყვით მინდა, ჩემს ქართველ ხალხს მივმართო, როგორც ამჩნევთ, დღესდღეობით საქართველოში, სხვადასხვა რაიონებში დაიწყო „თავისუფალი დემოკრატების" პარტიის წევრებმა კოალიცია „ქართული ოცნების" რიგების დატოვება. არაა გამორიცხული, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა გამოიყენონ ეს სიტუაცია და დაიწყონ მიტინგების მომზადება, ან რაიმე ავანტურისტული ქმედებები (თოვლის გუნდის აგორებით, დიდი მასა მიიღება). მოგიწოდებთ, ჩემო კარგებო, ემოციებს არ ავყვეთ, ერთმანეთს ხელი ჩავჭიდოთ და ხმა მივაწვდინოთ, გახსოვდეთ სულ ორი წელიწადია, რაც ქვეყნის სათავეში მოვიდა „ქართული ოცნება", ვაცადოთ მათ იმის კეთება, რაზედაც ისინი არიან ორიენტირებულები. არ დაგავიწყდეთ 90-იანი წლების ქვეყნის ნგრევის ხანა, შემდეგ ათი წელიწადი სააკაშვილის მთავრობა ანგრევდა ქართულ ტრადიციებს, ახლა ვხედავთ, რომ დაიწყო ამ ნანგრევების შენება, ამისათვის საჭიროა ჩვენი გაერთიანება, ერთმანეთზე სიყვარულის გამოცხადება და ეს გრძნობა იქნება, რაც ნანგრევებს გაგვამთლიანებინებს.

პატივისცემით პაატა ელბაქიძე
უკრაინა, ქ. კიევი

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: თქვენთვის მთავარი პრობლემაა – სად იშოვოთ ფული. სტუმრად წასვლაზე იფიქრეთ ან საყვარელი ადამიანები შინ დაპატჟეთ.

კურო: ენდეთ ინტუიციას და ბევრ საქმეს მარტივად და თქვენთვის სასარგებლოდ გადაწყვეტთ. ჰარმონიას მხოლოდ საკუთარ თავთან მიაღწევთ.

ტყუპები: სამსახურებრივ და ოჯახურ საქმეებს აქტიურ დასვენებასა და თავგადასავლებსაც ჩინებულად შეუხამებთ.

კირჩხიბი: წარმატებული კვირა გრძელდება. ეცადეთ, წარმოქმნილ პრობლემებს იუმორით შეხედოთ და მარტივად გადაწყვიტოთ. ოჯახური ფასეულობები წინ წამოსწიეთ. საყვარელ ადამიანთან იდეალურ ურთიერთობას შეინარჩუნებთ.

ლომი: ეს დღეები კარგია როგორც გონებრივი, ისე ფიზიკური მუშაობისთვის. შესაძლებელია კუჭნაწლავის პრობლემის წარმოქმნა. თქვენი კომუნიკაბელურობა გამოიყენეთ მეგობრებთან და ახლო ადამიანებთან შეხვედრისათვის. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

ქალწული: საშუალება მოგეცემათ, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გახსოვდეთ, კარიერა ყველაზე მნიშვნელოვანია. იფრთხილეთ, თქვენი მოტყუების ალბათობა დიდია. ეცადეთ არაფერი დაგეგმოთ.

სასწორი: წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში, საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სასიყვარულო თავგადასავლები სასიამოვნო ემოციებს მოგანიჭებთ.

მორიელი: თქვენ დაამყარებთ ახალ საქმიან კავშირებს, ამ კავშირებიდან ზოგი თქვენთვის სახარბიელოდ წარიმართება და ზოგი მეგობრობაში გადაიზრდება. აჩვენეთ საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან.

მშვილდოსანი: დამშვიდდით, ოჯახურ პრობლემებს მიხედეთ. ეს დღეები შესანიშნავად ჩაივლის. წინ სიყვარულით, შემოქმედებითა და დასვენებით ტკბობა გელით.

თხის რქა: მოსალოდნელია, მოგიწიოთ ურთიერთობა ისეთ ხალხთან, რომლებსაც მედიცინასთან აქვთ კავშირი. ფინანსური ოპერაციები წარმატებას მოგიტანთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფული გაფლანგოთ.

მერწყული: ნებისმიერ საქმეს მიუდგებით ვალდებულების მიზნით, რითაც ვერ მიიღებთ სიამოვნებას. თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის არის კარგი მოსაუბრე და კარგი მეგობარი. თქვენი პირადი ცხოვრება უხალისოდ მიდის.

თევზები: დაუფიქრებელი ნაბიჯი შემდგომში სანანებელი გაგიხდებათ, ამიტომ ყოველი თქვენი ნაბიჯი კარგად გათვალეთ და ისე იმოქმედეთ.

PSnews.ge-ს ჟურნალისტმა ომბუდსმენის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა

„ადამიანი ვარ ადამიანი, რომელსაც სჭირდება თანადგომა“ - ნესტან ჩაგელიშვილის სტატია, რომელიც საუკეთესოდ აღიარეს

დასრულდა სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომლის თემა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები“ იყო.

კონკურსი რეგიონული მედიის ჟურნალისტებისთვის საქართველოს სახალხო დამცველის ეგიდით გაეროს ერთობლივ პროგრამასთან „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. დაჯილდოების ცერემონიალი 10 ნოემბერს თბილისში შედგა.

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუშვილმა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა შომბი შარპიმ საუკეთესო საგაზეთო და ინტერნეტ-გამომცემლობისთვის მომზადებული სტატიისთვის გაზეთ „P.S.“-ის და სააგენტო psnews.ge-ს ჟურნალისტი **ნესტან ჩაგელიშვილი** გამოაცხადეს. ნესტანის სტატია —**„ადამიანი ვარ ადამიანი, რომელსაც სჭირდება თანადგომა“** — საუკეთესო აღმოჩნდა საკონკურსო მასალებს შორის. სტატიაში ქუთაისელი შშმ ქალბატონის, ქეთევან ბახუტაშვილის ცხოვრებასა და მოსაზრებებზე იყო საუბარი.

ნესტან ჩაგელიშვილს და საუკეთესო ბლოგის გამარჯვებულ ივეტა წითაიშვილს სახალხო

გამარჯვებულები და კონკურსის ორგანიზატორები

დამცველმა სამახსოვროდ AIPAD-ები გადასცა. ჟურნალისტთა ნამუშევრები წამყვანი ნაციონალური სატელევიზიო არხის, რადიოს, გაზეთის, ჟურნალისა და ონლაინ მედიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა სპეციალურმა კომისიამ შეაფასა. დაჯილდოების ცერემონიალს წინ უძღოდა შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ პროექტის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია და დისკუსია.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 m^2 არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 m^2 ოთახი+16m^2 სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.
  ტელ.: **599 41 27 49; 25 38 17**



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

17.11.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ქუთაისის მოქმედი მერი **შოთა მურღულია**, სამწუხაროდ, ქუთაისელებისათვის ცნობადი სახე არ აღმოჩნდა.

რას დაარქმევდით?

თამარ ბერუჩაშვილი

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ირაკლი ალასანია

„ივანიშვილის ცოდვა-ბრალით მონათლული.“

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ჯუჯა ცთომილი მზის სისტემაში; 5. ჯადოქრობა, მისნობა; 6. მსახიობი ... თურმანი; 8. მიწის ქალღმერთი ბერძნულ მითებში; 9. ყანის მავნებელი მწერი; 11. აშშ-ს შტატი.

ვერტიკალურად: 1. მხარე საქართველოში; 2. დიდი ზომის გადაშენებული უფრთო ფრინველი; 3. მერკურიც, ვენერაც, დედამიწაც; 4. მისი დედაქალაქია კინგსტონი; 7. ... მიუნჰაუზენი; 10. ნუსხა, ჩამონათვალი.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად:
3. პაპეეტე; 5. გნოლი; 6. მეი; 8. ექო; 9. მასაი; 11. ოსირისი.

ვერტიკალურად:
1. სპილო; 2. შენ; 3. პინოქიო; 4. ერევანი; 7. მანია; 10. ბია.

გასაოცარი მღვიმე

მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბმა, „თეთნულდმა", რაჭაში უნიკალური ზომისა და ფორმების მღვიმე აღმოაჩინა

ორდღიანი ექსპედიციის შედეგად, მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბმა „თეთნულდმა" რაჭაში უნიკალური ზომისა და ფორმების მღვიმე აღმოაჩინა, რაც მოულოდნელი იყო როგორც ექსპედიციის წევრებისთვის, ისე ადგილობრივებისთვის.

მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბი „თეთნულდი" ქუთაისში ფუნქციონირებს. იგი ოფიციალურად, დაახლოებით, ორი წელია არსებობს, კლუბი, ძირითადად, 7 ადამიანისგან შედგება.

კლუბი „თეთნულდი" რაჭაში ორდღიანი ექსპედიციით მღვიმეების შესასწავლად იმყოფებოდა, სადაც უნიკალური მღვიმე აღმოაჩინეს.

მათ მიერ აღმოჩენილ მღვიმეს, როგორც თავად აღწერენ, რამდენიმე პატარა განშტოება და სართულები აქვს. ასევე არის ჭები, თუმცა ჭების დათვალიერება ძირფესვიანად ვერ მოხერდა. მღვიმეში ასევე აღმოჩენილია საინტერესო და იშვიათი სახის ნაღვენთი წარმონაქმნები, რომელთა იდენტიფიცირებაც მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში მათ შესახებაც უფრო ზუსტი ინფორმაცია გახდება ცნობილი.

„2004 წელს რაჭაში გვქონდა ექსპედიცია, სადაც გავიცანი და შემდეგ დავმეგობრდი ადამიანთან, რომელიც სულ მეუბნებოდა: წამოდი, კარგ ადგილებს განახებო. ერთ შაბათ-კვირასაც ყველანი შევიკრიბეთ და ჩავატარეთ ექსპედიცია. ჩავედით რაჭაში, იქ გამყოლად 76 წლის ადგილობრივი მურად ცნობილაძე გვყავდა, შემდეგ გავიგეთ, რომ თურმე იმ ადგილსაც მურადის მღვიმე ჰქვია. გვეგონა, რომ მალევე დავასრულებდით დათვალიერებას და აღჭურვილობა ქვევით დავტოვეთ და წავედით, მოვიარეთ იქაურობა. უკან როცა გამოვდიოდით, პატარა გადასასვლელი შევამჩნიეთ, რომელიც კარგი განათების გარეშე ცუდად ჩანს. პატარა ნაპრალია და სპეციალურად თუ არ შურჩიე კუთხე, ვერ დაინახავ. დავინტერესდით და დასათვალიერებლად ჯერ მთამსვლელი გიორგი ენუქიძე შევუშვით," — განაცხადა კლუბის მეცნიერიმა ირაკლი ჯულაყიძემ.

როგორც თავად გიორგი ენუქიძე ამბობს, იქ ჩასულს საოცარი სილამაზე დახვდა. მობრუნებულმა კი მისი თანაგუნგელებიც ჩაიყვანა ახლადაღმოჩენილ მღვიმეში.

„მთელს მსოფლიოში მიმოგზაურია, ათასნაირი ფორმის გამოქვაბული გვინახავს, თუმცა მსგავსი — არსად. ინტერნეტშიც კი მოვიძიეთ, მაგრამ მისი მსგავსი ვერ ვნახეთ. მღვიმის ზუსტი სიგრძე არ გაგვიზომავს, მაგრამ დაახლოებით, ოთხსაათნახევარი დასჭირდა მის დათვალიერებას და უკან დაბრუნებას. ანუ საკმაოდ მასშტაბურია. შეგვიძლია, რომ სათაფლიის მღვიმეს შევადაროთ," — აცხადებენ კლუბის წევრები.

ექსპედიციის წევრების აღწერით, იქ ბურთის ზომის პრიალა სტალაგმიტები დახვდათ, რომლებიც წყლის სიმაღლეზეა განვითარებული. მღვიმის მაქსიმალური სიგანე, დაახლოებით, 5-7 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 45 მეტრზე მეტს შეადგენს, გამოქვაბული კი სამი ჭით ბოლოვდება, რომელიც, დაახლოებით, 15 მეტრის სიღრმისაა.

კლუბის წევრების განცხადებით, რთული მეტეოროლოგიური პირობების მიზეზით, მღვიმის დეტალურად შესწავლის შესაძლებლობა არ მიეცათ, თუმცა აცხადებენ, რომ ახალი მღვიმის სათაფლიის მღვიმესთან შედარება შეიძლება.

„ჩვენ არ გვქონდა შესაბამისი პირობები, რომ კარგად შეგვესწავლა იქაურობა, განათებაც კი არ გვქონდა რომ ხარისხიანი ფოტოებით მაინც დავბრუნებულიყავით უკან, თუმცა შემდეგში უკვე მობილიზებული და გაძლიერებული შემადგენლობით წავალთ.

ისინი ვარაუდობენ, რომ რაჭაში აღმოჩენილი მღვიმე, დაახლოებით, 80 000-დან 100 000 წლამდე შეიძლება იყოს.

მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბის წევრები მათ მიერ აღმოჩენილი მღვიმის ზუსტ ადგილს ჯერ არ ახმიანებენ. იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო დაინტერესდება იმ ადგილით და სხვა კლუბებიც დაეხმარებიან მის ძირფესვიანად შესწავლაში.

ჭანა ჯანელიძე
psnews.ge

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, ჭავჭავაძის 50ა (ჭავჭავაძის უნივერმალი), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94